პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

ახალგაზრდების სამეწარმეო განათლების სფეროში, სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში.



განხორციელების ვადა: 01.01.2024 - 30.06.2025

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, საქართველოს, სომხეთი

ევროკავშირის წვლილი: € 278 777

მთლიანი ბიუჯეტი: € 309 890

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
GyEEK Club Association, Szeged, Hungary

პროექტის აღწერა:

ევროკავშირის სტრატეგიული მიმართულებებისა და მეზობელ ქვეყნებში ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განვითარებაში ინვესტირება. ეს პრიორიტეტი ხაზგასმულია ევროკავშირის საბჭოს დასკვნაში, ახალგაზრდობის საგარეო ქმედებების მიმათუელებებით, რაც მხარს დაუჭერს ძლიერი, ლეგიტიმური, მშვიდობიან და დემოკრატიულ საზოგადოების ჩამოყალიბებას. ჩვენს ფოკუსირებულ რეგიონში - სამხრეთ კავკასიაში -ახალგაზრდობის სრული უმრავლესობა ცხოვრობს ისეთ გარემოში, სადაც ლიმიტირებულია სამუშაო შესაძლებლობები, რაც თავისმხრივ მათ წყვეტს სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობებს, ზრდის კვალიფიციური კადრების და ახალგაზრდა პერსპექტიული მეწარმეების, საგარეო მიგრაციას.

პარტნიორობა მიზნად ისახავს ამ გამოწვევების დაძლევას და ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს აკისრებს მცირე და საშუალო ბიზნესის როლის ზრდას ეკონომიკაში, სამეწარმეო განათლებას მნიშვნელობას და კვალიფიცირებული კადრების მიწოდებას სამუშაო ბაზრის მოთხოვნების საჭიროებისამებრ.
პროექტის მიზანია გაზარდოს ახალგაზრდების დასაქმება, განუვითაროს სამეწარმოეო უნარები, ცოდნა და მულტიდისციპლინარული სამეწარმეო განათლების პროგრამით. პროგრამა მოიცავს პროფესიონალი მენტორების ჩართულობას, პრაქტიკულ სამუშაოებს როგორიცაა ბუთ ქემფები, გაცვლით პროგრამები. პროგრამა განსაკუთრებულად ისეთი ახალგაზრდების ჩართულობას ისახავს მიზნად, რომლებიც მოწყვეტილები არიან ქვეყნის საგანმანათლებლო თუ სამუშაო პროცესს.

მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის მიმდინარეობისას ჩვენ მოველით შემდეგ გავლენას ჩვენს სამიზნე ჯგუფებზე:
- ახალგაზრდების ჩართულობისა და სამეწარმეო უნარების გაზრდა: ჯამში 168 ახალგაზრდა, განხვავებული ინტერესებით, მიიღებს მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამაში მეწარმეობის შესახებ, სადაც გამოიმუშავებენ აუცილებელ უნარებს, ცოდნას, შეხედულებებს რომელიც ჭირდება სამეწარმეო ინიციატივების შექმნასა და განხორციელებას.

- ახალი და ხარისხიანი საგანმანათლებლო წყაროები შექმნა: შეიქმნება ახალი საგანმანათლებლო მასალები, სასწავლო სახელმძღვანელოების ჩათვლით რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, პროექტის საკომუნიკაციო არხებით. ეს რესურსები მომავალშიცდაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს, ახალგაზრდული მეწარმეობის ინიციატივების შექმნასა და დანერგვაში.

- საზოგადოების მდგრადი ჩართულობა: პრაქტიკის ვირტუალური საზოგადოება იმუშავებს მინიმუმ ორი წლის განმავლობაში პროექტის დასრულებიდან, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების მიმდინარე ჩართულობას და რესურსების გაზიარებას.

- ახალი პარტნიორობის დამყარება: ჩამოყალიბდება 15 ახალი ადგილობრივი და საერთაშორისო კერძო-საჯარო პარტნიორობა, რაც ხელს შეუწყობს როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულურ განვითარებას.